№ 7 12 იანვარი, სამშაბათი. 1866—1882 12 იანვარი, სამშაბათი № 7

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე. იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] მიერ.

თუ ხანგრძლივად მოითხოვს, რედაქცია განსაზღვრავს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

საზაფხულო თეატრში

ოთხშაბათს, 13 იანვარს

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

**მ.მ. საფაროვისა**

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

**ცქრიალა**

კომედია—დრამა 5 მოქმედებად.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $7 \frac{1}{2}$ საათზე

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 8 იანვარს. ქვავთო გაგზავნილი ტუსაღების ერთმანეთზე ჯაჭვით გადაბმა მოისპო.

ყაზახის ჯარების დანიშნათ დამატებითი ხარჯის ფული: ობერ-აფიცრებს წელიწადში 183 მან. და პოლკის კამანდირებს—1,824 მან.

ჩინეთის სამზღვარზე გენერალ-გუბერნატორობის დაწესებისათვის დანიშნულმა კამისიამ გადაწყვიტა: სამხრეთ ციმბირის სამხედრო მაზრა გაუქმდეს და დაწესდეს სემიპალატინსკის საგენერალ გუბერნატორო; ამურის მაზრა მოშორდეს აღმოსავლეთ ციმბირს და ამასაგან შედგეს ცალკე მაზრა; ტომსკისა და ტობოლსკის გუბერნიები კი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაემორჩილოს.

პეტერბურღი. 9 იანვარს. გაზეთი „პორიადოკი“ თვე-ნახევრით აღკრძალულია.

მთავრობამ დაამტკიცა საზოგადოება „მიწის მოწყვისა“ ნიადაგის გასაუმჯობესებლად.

დავა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორსა და კატკოვს შორის გათავდა 8 იანვარს; საქმე კატკოვმა მოიგო.

სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ბუნების მეცნიერების მომრავი მუზეუმები გამართოს სახალხო სკოლებისათვის.

ასტრახან-ცარაცინის რკინის გზის გაყვანაზედ არის ლაპარაკი.

პეტერბურღის ბირჟა, 8 იანვარს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 94—15 |
| მეორესი— — — — | 91—50 |
| მესამესი — — — — | 91—87 |
| მეოთხესი — — — | 91—37 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 91—50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90—12 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90—12 |
| ოქრო, $\frac{1}{2}$ იმპერიალი | 7—91 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 217—25 |
| მეორე სესხის — — | 216—50 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—90 | პენსი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — | 212— „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 261—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## მცოდნე კაცების მოწვევა კავკასიიდგა

თფილისი, 11 იანვარი.

იმ ათას გვარ ხმებიდამ, რომელიც კავკასიის გამგეობის ცვლილებაზედ იწერება გაზეთებში, ნამდვილი და შეუცდომელი ჯერ მხოლოდ ის აღმოჩნდა, რომ ნამესტნიკობა მოისპო ჩვენს ქვეყანაში და მის მაგიერ დაწესდა ისევ ძველებური მთავარ-მმართველობა და ამ თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა თ. დონდუკოვ-კორსაკოვი.

სწერდნენ და ამბობდნენ, რომ კავკასიის ახალ გამგეობის თაობაზედ სჯა სახელმწიფო რჩევაში არის ამ ჟამადაო; ამ იანვრის დამლევამდინ გადაწყდება ეს საქმე და ახალი სამოქალაქო და სამხედრო წესები დაფუძნდება კავკასიაშიო. სხვებისაგან კი ისმოდა, რომ ეს სულ ტყუილიაო, სანამ თვითონ ახალი მთავარ-მმართებელი არ ჩამოვა კავკასიაში, ერთი წელიწადი მაინც არ დაჰყოფს აქ, კარგად არ გაიცნობს ქვეყნის საჭიროებასა და მოთხოვნილებას, მანამ რაიმე ცვლილება არ მოხდება, როგორც დღემდინ ყოფილა, ისევ ისე დარჩება ყველა და ყველაფერიო.

ასე რომ ნამდვილი ჯერ არავინ არა იცის-რა იმის მეტი, რომ თვითონ უმაღლესს მთავრობას გაუგია და უგრძვნია, რომ ახლანდელი წესი კავკასიის გამგეობისა რიგიანი არ არის და იმას შეცვლა ეჭირება.

როგორი ცვლილება მოხდება ჩვენს ქვეყანაში, რა ახალი წესები დამყარდება და რომელს ძველს მოეღება ბოლო და გაუქმდება—ეს ჯერ თვითონ მთავრობასაც არა აქვს გამოკვლეული და გარდაწყვეტილი.

მაგრამ რაც უნდა იყოს დიდსა და პატარას ჩვენში ერთი იმედი აქვს, რომ ახალი ცვლილება და წესები მარტო გარეგან, ფორმალურ მხარეს არ შეეხება ჩვენის ქვეყნის გამგეობისას. ერთი დეპარტამენტი გააუქმონ და მეორე დააწესონ, ერთი დეპარტამენტის უფროსი გამოცვალონ და მის მაგიერად მეორე დანიშნონ, ერთი მაზრა ანუ გუბერნია მეორეს მიაკერონ, ან ერთი გუბერნია და უეზდი ორად გაჰყონ,—ამით, უეჭველია, საქმე არ გაკეთდება, გამგეობის წესის გაუმჯობესებას არ უნდა მოველოდეთ. ახალ წესებს, ახალ ცვლილებებს გამგეობისას მხოლოდ მაშინ დაეტყობა ნამყოფი, . . . . . . . რომელიც ერს ყველა სასიკეთო, საერო საქმეში ხელს მოუმართავს, თავისუფლად და დაუბრკოლებლად ამოქმედებს.

. . . . . . . . . . . .

ვერავინ ვერ იტყვის, რომ იმას მართლა ამგვარი განზრახვა არა ჰქონდეს, ვამბობთ, თუ მთავრობას ეს მიზანი აქვს, ის არ დაკმაყოფილდება საქმის გადაწყვეტას იმ წესით, რა წესითაც ამგვარი საქმეები წყდებოდა დღემდინ . . . . . . . . . . . . ჩვენ ვამბობთ,

---

«დროების» ფელეტონი, 12 იანვარი.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა)

ის ტიროდა გულ ამომჯდარი ცხარედ. ძოველი მახიას ცდა იმის დასამშვიდებლად რჩებოდა ამაოდ.

— რაი გატირებს რაი? მეათედ ეუბნებოდა ეს დედა-კაცი.

— რაი მატირებს? უპასუხებდა ნუნუ—ის მატირებს რომ, მამაი ეგრე წავიდა, რომ არც კი მნახა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი! თითქმის ბძანებით უთხრა მოთმინება დაკარგულმა მახიამ და ბოლოს უფრო დამშვიდებულმა დაუმატა:—აი ეხლა გაგათხოვებთ და სუყველაი გადაგავიწყდება.

— არ მინდა გათხოვება, მე არ გავთხოვდები!

— ახლა ეგრე ამბობ, მაგრამ მაშინ მაგას აღარ იტყვი, დაუმატა ონისემ.

— აგეთ კაცს მიგათხოვებთ, რომ ყველა შენ შემოგნატროდეს. ო, ღვთის მადლმა!

— არ მინდა, არა! რაღაცა გაბრაზებით უპასუხებდა ნინო.—მე ვიცი ვეზედაც გათხოვებას მპირებთ, თავს დავიხრჩობ და იმას კი არ გავყვები.

— რაისათვი არა, რაისათვი?

ნუნუ კარგა ხანს ჩუმად იყო და პასუხს არ აძლევდა. ბოლოს გუნებაში გაურბინა, რომ გადახვეოდა მახიას, ჩაჰკროდა გულში და ყმაწვილი ქალების მინიჭებულის მორცხობით, ეთქვა: „მე ცხო მიყვარს გებრალებოდე მახიაისი!“ მაგრამ რა წამს შეხედა თავის ძალუის მკაცრს პირისახეს და გაყინულს თვალებს, რომელნიც უწყალოდ გამოიხედებოდნენ, ნუნუს სიტყვები პირში გაუწყდა. ის აშკარადა ჰხედავდა, რომ იმის წინ თანამგრძნობელი ადამიანი კი არ იდგა, არამედ პირი, რომელსაც წინადვე გადაეწყვიტა იმისი მომავალი და არავითარს საბუთს, არავითარს ხვეწნას გავლენა აღარ ექნება იმის გაქვავებულს გულზედ.

მართლადაც აღარ გამოიარა რაოდენიმე ხანმა, როდესაც მახიამ მკაცრად და გადაწყვეტით დაიწყო:

— კარგია, გაჩუმდი!... მამა შენი წავიდა და შენი გათხოვება ჩვენ მოგვანდო, ვისაც ჩვენ ამოგირჩევთ საქმროდ, შენც იმაზედ უნდა გათხოვდე.

ამ სიტყვებზედ ნუნუმ მარტო შეხედა იმას დაღონებულის თვალებით, მაგრამ შეხედა ისეთის გარდაწყვეტილებით თითქოს ისინი ამბობდნენ: „თქვენ არ გინდათ იმას მიმათხოვოთ ვინც მე მინდა და ვნახოთ სხვას როგორ მიმათხოვებთ?

ახლა კი წადი სახლეში, (კალო) წაიღე ხენცელო (პატარა ნამგალი) და საყალდახე*) მოთიბე. უთხრა მახიამ და გამობრუნდა. ნუნუმ აიღო ხენცელი და წავიდა სათიბლად, მაგრამ რა საქმის გაკეთება შეეძლო, როდესაც იმისი გული ათასის ლახვრით იხეოდა.

ის გადავიდა კალოში, ერთი ხელით შემოიყარა დოინჯი, მეორე კი ჩამოუვარდა ისე თითქოს მოტეხილი ჰქონდა. ასე მიდიოდა დრო, წუთი წუთით იცვლებოდა, მაგრამ ის მაინც იმავე მდგომარეობაში იდგა ისევ ისე გასცქეროდა სივრცეს და ჰფიქრობდა თავის მწარე მდგომარეობაზედ.

— გამარჯვება შენს საქმესა! შესძახა ერთმა ლაზათიანად მოყვანილმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც ღობესთან მომდგარიყო და ღიმილით უყურებდა იმას.

ქალი შეკრთა, შეხედა და სირცხვილისგან მთლად აინთო.

— კარგადაც მუშაობ! ისევ იმ ღიმილით უთხრა ბიჭმა და ვადისვა ხელი ახლად აშლილს ულვაშებზედ.

ნუნუმ ძლივს მოახერხა, რომ დახროდა ბალახს და მთრთოლარე ხელებით დაეწყო თიბვა!

ბიჭი წყნარა გადაევიდა ღობეზედ, მივიდა ქალთან და უთხრა:

— მაი მე მომე ხენცელი, მე მოგთიბ.

— არა შენაი ჭირიმე, არა! დამეხსენ, მე თავად მოვთიბ.

---

*) იხ. „დროება“ № 6.

*) ყალდახი — ბალახის თოკი, რომლითაც მთაში თივასა ჰკვრენ.

კაბინეტებში და დეპარტამენტებში, მარტო ჩინოვნიკების დაკითხვით რაიმე ახალი წესისა და ცვლილების შემოღებას კავკასიაში.

თვითონ მთავრობამ დაინახა, რომ ამ გვარად შემოღებულს რომელსამე ახალ წესს, კანონსა და ცვლილებას ხანგრძლივი სიცოცხლე არა აქვს, არ მოაქვს ის ნაყოფი ერისათვის, რომელსაც მოელოდნენ. . . . . . . . . . ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე, სამხედრო და სასამართლო ცვლილებანი, ერობის საქმე—და საზოგადოთ არც ერთი ის ჩინებული ცვლილება, რომლითაც მიცვალებულმა იმპერატორმა ისახელა თავი და დაიმსახურა შთამომავლობის მადლობა, კაბინეტებში და ჩინოვნიკებისაგან არ გადაწყვეტილა; კამისიები იყვნენ დანიშნულნი; ამ კამისიებში მოსამსახურე პირებს გარდა, ხშირად გარეშე, მცოდნე, გამოცდილ პირებსაც იწვევდნენ, ერთად ჰქონდათ სჯა და ამ ნაირად კეთდებოდა საქმე. თვით ახალმა იმპერატორმაც, მოკლე ხნის მეფობაში, რამდენიმე მაგალითით დაგვიმტკიცა, რომ იგიც ასე უყურებს ამ საქმეს, იმასაც ახალი ცვლილება და კანონი მხოლოდ მაშინ მიაჩნია საფუძვლიან ცვლილებად და კანონად, როდესაც იმის შემოღებაში ნაფიც ჩინოვნიკებს გარდა, სხვებსაც, საზოგადოებასაც, გარეშე მცოდნე კაცებსაც მიუღიათ მონაწილეობა, როდესაც ამ გარეშე კაცებსაც დაჰკითხებიან. გაიხსენეთ სამიკიტნოების საქმე, გლეხების მამულების შესყიდვის საქმე, გადასახლებისა და სხვ. და სხვ.

დიდი იმედი გვაქვს, რომ კავკასიის გამგეობაში ცვლილების შემოღებაშიაც ამ გვარად მოიქცევა ჩვენი უმაღლესი მთავრობა. მართლა, თუ შუა გულ რუსეთში საჭიროა ადგილობრივ მცოდნე კაცების დაკითხვა, იმათი აზრის შეტყობა რომლისამე ახალის წესის შემოღებაზედ, თუ იქ ძნელია მარტო ხაზინის კაცებს, ჩინოვნიკებს დაენდონ, განა ერთი-ორად საჭირო არ არის, რომ აქ, ჩვენში დაეკითხონ ადგილობრივ მცოდნე კაცებსა; განა ერთი-ორად ძნელი არ არის დაენდოს მთავრობა მოსულს ჩინოვნიკებს, ადგილობრივ მოთხოვნილებისა და საჭიროების უცოდინართ. აქ, ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც მთავრობა ჯერ კარგად ვერ იცნობს, რომელიც ბევრის მხრით განსხვავდება რუსეთის ქვეყნისაგან, ვამბობთ, აქ უფრო საჭირო არ არის, ადგილობრივ, კეთილგონიერ, მცოდნე კაცების საშუალებით გაიგოს მთავრობამ—თუ რა აწუხებს ხალხს და რა ეჭირება, თუ რა მოთხოვნილება და რა ნაღველი აქვს,

ამიტომაც დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ ჩვენ ზოგიერთ რუსულ გაზეთებში ის ამბავი, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი კავკასიის გამგეობაში ჯერ-ჯერობით, სანამ ადგილს არ ჩავა, კარგად არ გაიცნობს თვითონ ამ ქვეყანას, მანამ არავითარ შესამჩნევ ცვლილებას არ მოახდენსო. ჩვენ დაგვრჩენია ვინატროთ მხოლოდ, რომ ამ ჩვენი ქვეყნის გასაცნობად მიემართოს . . . . . . . . . . . . . . . . . . . პატიოსანი ადგილობრივ ცხოვრებისა და ერის მოთხოვნილებისა და საჭიროების ზედმიწევნით მცოდნე ჩინოვნიკობას გარეშეც ბევრი მოიპოება ჩვენში, რომელთაც გულ-ღიად, პირ-და-პირ და დაუფარავად შეუძლიანთ გააცნონ ის—თუ რა ეჭირება ჩვენს ერსა და ქვეყანას, თუ რა მოთხოვნილების დაკმაყოფილება არის აუცილებელი. ამისთანა კაცების დაკითხვა და გაგონება სასარგებლოა ყველა მმართველისათვის, რომელსაც კი ერის ბედნიერება აქვს მხედველობაში.

ამას გარდა არის კიდევ ერთი რამე, რომელსაც ამ საქმეში მცოდნე კაცებზე მომეტებული თუ არა, ნაკლები სარგებლობის მოტანა არ შეუძლია მთავრობისათვის. ჩვენ ვამბობთ ლიტერატურაზედ, ჟურნალ-გაზეთებზედ. თუ სტამბას ცოტათი მაინც მიეცემა ხმის-ამოღების ნება, თუ იმას შეეძლება საზოგადო საჭიროებასა და მოთხოვნილებაზედ სჯა და ლაპარაკი, უეჭველია, ეს საზოგადო საჭიროება უფრო ცხადად და აშკარად გამოცხადდება, გამოითქმის და ყველასათვის თვალ-საჩინოდ გამოჩნდება. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

## დღიური

კავკასიის მხრის სწავლა განათლების გამგესაგან გამოცემულის ანგარიშით, სხვათაშორის, ვტყობულობთ, რომ შარშანწინდელის 1880 წლის განმავლობაში მთელს კავკასიაში სწავლა-განათლებისათვის დახარჯულა სულ 2, 150, 000 მან. აქედან მთავრობას დაუხარჯავს—741, 000 მან., ყაზახის ჯარებს—147 ათ., ქალაქებს—138 ათ., სოფლის საზოგადოებათ—268 ათ., საეკკლესიო უწყებას—115 ათ., სხვა-დასხვა ქველ მომქმედ საზოგადოებათ—117 ათ., შემოწირული ფული—67 ათ., სწავლის ქირიდამ—557 ათასი მანეთი.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ მარტვილის შავბედით სასულიერო სასწავლებლის საქმე, როგორც [illegible], ძლივს გათავებულა. სამღვდელოების ხმის უმეტესობის გარდაწყვეტილებით, ეს სასწავლებელი ახალ-სენაკში გარდაუტანიათ, სადაც ამ ჟამად დროებით სახლიც იშოვნეს სასწავლებლისათვის და სწავლაც უკვე დაწყობილაო. ოთხასზე იეტი შაგირდი გადმოვიდნენ ჯერ-ჯერობით სენაკში მარტვილიდამაო.

* * *

ქუთაისიდამ ერთს ახირებულ ამბავს გვწერენ: ზოგიერთ თავად-აზნაურთ განზრახვა აქვთ თურმე წინადადება შეიტანონ იმერეთის თავად-აზნაურთა მომავალ საზოგადო კრებაში, რომ სადგილ-მამულო ბანკის ფულებიდამ შეავსონ ის ფულები რომელიცა იქაურს გუბერნიის ხაზინადარს თ. დავ. ლორთქიფანიძეს, დაჰკლებია რევიზიის დროს, ე. ი. 17, 000 მანეთამდინ.

ჩვენ არ ვიცით—დამნაშავეა თ. დ. ლ—ძე ამ საქმეში, თუ უბედურის შემთხვევით, თუ დაუდევნელობით შემოეხარჯა და დაეკარგა ეს ფულები;—ამას გამოძიება აღმოაჩენს, რომელიც ამჟამად ამ საქმის თაობაზედ არის დანიშნული. მაგრამ ჩვენ ის გვაკვირვებს—როგორ და რად მოუვიდა ვისმე თავში ის აზრი, რომ კერძო კაცისათვის საზოგადო ფულები, ის ფულები, რომელიც მთელს საზოგადოებისათვის უნდა იყოს დანიშნული, გადაიდვასო. ამისთანა უგუნური აზრი მხოლოთ იმ კაცებს მოუვიდოდათ თავში, ვისაც საზოგადო საჭიროება და მოთხოვნილება რა არის, არ ესმის; ვინც საზოგადო საქმეშიაც კი მოყვრობითა და მეგობრობით მოქმედებას არის მიჩვეული.

---

ბიჭმა დაუწყო ყურება გამომცდელის თვალებით, რადგანაც უკვირდა ნუნუს ამ გვარი პასუხი, რომელიც პირველად ესმოდა.

— რაი მოგსვლია ქალაუ! რაისთვი მელაპარაკები აგრე?

— არც რა, არც რა! საჩქაროდ უპასუხა ნუნუმ და ჩქარადვე დაუმატა:—წადი, წადი, არვინ მოგვასწროს და....

— მოგვასწრონ, რაი იქნება? ჰკითხა დაფიქრებულმა ბიჭმა და გულში გაუელვა რაღაცა ეჭვმა.

ის დაფიქრდა კარგა ხანს და მერე ჰკითხა:

— რა მოგივიდა, რად არ მეუბნები?

— ის მომივიდა, რომ ცხოვს მიპირებენ მიცემას, უპასუხა ნუნუმ და ცრემლები გადმოედინა.

— ცხოვსა? გაფითრებით იკითხა ახლად მოსულმა.

— ჰო, ცხოვსა.

— მამაი რაღას ამბობს?

— მამაი აღარაა აქა, წასულა! იმედგადაწყვეტით წამოიძახა ნუნუმ.

— წასულა? ხმის კანკალით იკითხა უცნობმა, რომელიც უფრო ჩაფიქრდა და ჩაჰკიდა თავი.

კარგა ხანს ის იმ მდგომარეობაში დარჩა და სიტყვა ველარ მოეხერხებინა. ბოლოს, ამოიოხრა, აიღო მაღლა თავი და უთხრა:

— მაშ იაგო*) მოჰკვდეს, თუ იმან სხვას დაგანებოს!... იცი რაი გითხრა, დღეს სალამოზედ, როდესაც ყველანი დაიძინებენ, გამოდი აქა.—ჯერ მე თითონაც არ ვიცი რასა ვიქ, მაგრამ წმინდის გივარგის მადლმა, მე შენს თავს არც ვის დავანებებ არც ვის დაუთმობ! გ მოხვალ განა?

— აბა რაი ვიცი?

— იქნება შენ თითონაც აღარ გინდა ჩემზედ გათხოვება? წარბებ შეჭმუხვნით ჰკითხა იაგომ.

ქალმა, მართალია, ამ სიტყვებზედ არ უპასუხა მაგრამ, ისეთის თვალით შეხედა, რომ იაგო ჟრჟოლამ აიტანა.

არის ხოლმე ისეთი შეხედვა, რომელიც აგრძნობინებს, აუხსნის კაცს ათას ჯერ უფრო მომეტებულს, სანამ გატაცებული საუბარი გავარჯიშებული მოლაპარაკე კაცისა.

ნუნუს შეხედვაც სწორედ ამ გვარი იყო, და მიაწია თავის მიზანს.

იაგოს გადაავიწყდა გაფრთხილება, გადაავიწყდა მუხდალი მზის შუქი, რომელსაც შეეძლო გაეცა ყოველი იმათი მოძრაობა და თავ-დავიწყებით გადაეხვია.

— ნუნუ, ნუნუ! ჩემო ყველავ! კოცნით ეუბნებოდა ის. — მოხვალ განა, მოხვალ?..

პირველმა სიტკბოების წუთებმა ნუნუც ისე გიტაცა, რომ ისიც მიეკრა ძალზედ და რამდენიმე სიყვარულის ბეჭედი დაასვა ტუჩებზედ.

— მაშ მოხვალ განა, ამაღამ, ამ ადგილს? არ ეშვებოდა იაგო.

— აგრე, აგრე! ოღონდაც, ეხლაკი წადი!

— წავალ, წავალ, ოღონდაც ერთი გაკოცო კიდევ...

ღმერთსამც ნუ ექნა, რომ იმათ ალერსისათვის ვისმე თვალი შეეკრა, თორემ ძვირად დაუჯდებოდა იაგოს თავისი მოუფიქრებლობა, მაგრამ საბედოდ იმათ იღბალი შესწევდა და ალერსი შეუმჩნეველი დარჩა. ისინი გაიყარნენ იმ პირობით, რომ საღამოზედ ისევ შეყრილიყვნენ და გადეწყვიტათ, თუ რა რიგად მოქცეულიყვნენ შემდეგში. იაგო წავიდა თავის ნათლიისას, რჩევის საკითხავად, ნუნუ-კი დაადგა სათიბს, რომელზედაც დამშვიდებული, მუყაითად მუშაობდა.

ის ამ მუშაობაში იყო, როდესაც გლახამ მიაწია დარიალის ციხეს, სადაც უნდა შეერთებულიყო სხვა მგზავრებს და ჯარს, თუ მშვიდობიანად ჩასვლა უნდოდა გაუგს.

მაგრამ, სანამ ჩვენს მოთხრობას გავაგრძელებთ, მომეტებული არ იქნება, რომ უფრო დაახლოებით გავაცნოთ მთხოვარა გლახას წარსული.

გლახა იყო ხევში ერთი შეძლებული გვარის შვილი, რომელიც მოეხარა ახალ წყობილებას და იმ ძალს, რომელიც ისე ულმერთოდ ამსხვრევდა ხალხის ჩვეულებას წარსულს საუკუნეში. თუმცა ამაყი მთის სისხლი ჯერედ კიდევა ჩუხჩუხებდა და თვითეულს პირში იჩენდა თავს. ყმაწვილობაში გლახამ შეირთო ცოლი სიყვარულით და პირველში იმის დღეები წავიდა სანატრელის სიამოვნებით. ის ხარობდა თავის მშვენიერ ცოლთან, სტკბებოდა იმის სიყვარულით, როგორც ერთი უბედნიერესი კაცი, მაგრამ ეს სიტკბოება ჩქარა შეეცვალა სიმწარით. იმან შეამჩნია, რომ იასაული გადაეკიდა მეტის-მეტად, ყველაზედ ჩქარ-ჩქარად დაჰყვანდა ბეგარაზედ და თუმცა ის ხედამდა ამ უსამართლობას, მაგრამ ხმა ვერ ამოეღო,

*) იაგო—კაცის სახელთაგანია.

მაგრამ ამაზე ბევრი ლაპარაკი არა ღირს, რადგან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავად აზნაურთა საზოგადო კრება ამ გვარ შუამდგომლობასა და წინადადებას სრულიად უყურადღებოდ დააგდებს.

* * *

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 7 საათზე, საადგილ-მამულო ბანკში არის დანიშნული ჩვეულებრივი სხდომა ვეფხის ტყაოსნის რედაქციისა.

## ჯონსონის სამკალი მაშინა

*(Continental réaper)*

რადგანაც ზაფხულის მუშაობისათვის კაცი ეხლავე უნდა ზრუნავდეს და იქნება ზოგიერთებს სურდეს მომავალი მოსავლისათვის სამკალი მაშინა შეიძინოს, ამიტომ ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ, გავაცნო ჩვენს მეურნეებს ღირსებანი ერთი ახალი სისტემის სამკლისა, რომელიც მამივიდა წარსულ წელს და მუშაობაში ისე საკმაოდ თავი იჩინა, რომ გაბედვით შემიძლიან ყველას ურჩიო იმავე სისტემის მაშინის ყიდვა.

რადგანაც ჩვენ მხარეს ნამგლიანი მუშა ძალიან ძნელი საშოვარია, და მკა მეტის-მეტად ძვირ ფასად ჯდება, იძულებული ვიყავით მიგვემართა ცელისათვის, რაიცა, როგორც ყველა გამოცდილ მეურნეს მოეხსენება, ბევრს სასიამოვნო შედეგს არას უჩვენებს, გარდა ზარალისა და წვალებისა; ამიტომ გადავწყვიტე გამომეწერა სამკალი მაშინა.

სამზღვარ-გარეთ ყოფნის დროს მქონდა შემთხვევა მენახა მუშაობაში ინგლისისა და ამერიკის ბევრი სხვა-და-სხვა სისტემის სამკლები, მაგრამ იმ დროს ყოველივე მათგანში იმგვარი მძიმე ნაკლულევანებანი იპოებოდნენ, რომ უკეთუ მ თს მოშორებას კონსტრუქტორები არ ცდილიყვნენ, სამკალი მაშინა ეხლაც უვარგისი მებელი იქნებოდა, გამოსადეგი მხოლოდ დასამშვენებლად სხვა-და-სხვა გამოფენებისა და მდიდარ მემამულეთა მაშინების სარაიებისა. თუმცა ამის შემდეგ სამკალი მაშინის კონსტრუქციას მრავალი უმჯობესი ცვლილებანი მიენიჭა და სხვა-და-სხვა კონსტრუქტორების ხელში დაუახლოვდა თავის დანიშნულებას, ე. ი. უჩვენებდა მუშაობაში ჩინებულ შედეგს, მაგრამ მაინც კიდევ ორი მიზეზი, რომელნიც ჩვენთვის ძალიან საბუთიანი, და ევროპისა და ამერიკისათვის იქნება სრული უსაბუთონი, მაბრკოლებდნენ გაბედვით ხელი მომეკიდნა რომელიმე სისტემისთვის, რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ იგი ჩვენში გამოდგება. ეს ორი მიზეზი იყო: საერთოდ ყველა სისტემის სამკლების დიდი სიმძიმე (30—35 ფუთამდინ) და მათი მეტის-მეტი რთული მეხანიზმი.

წარსულ ზამთარს დიდის სიამოვნებით წავიკითხე რუსულს სამეურნეო გაზეთში განცხადება ჯონსონის ოც ფუთიან სამკალზე „კონტინენტალ" № 1, და შემდეგ ამ მაშინის მხატრობის დაკვირვებით გაჩხრეკისა, ვავბედე იმისი გამოწერა, თუმცა მთელს რუსეთში სამი თუ ოთხი ეგზემპლიარი მოიპოვებოდა და მის ღირსებაზედ და ნაკლულევანებაზე ბევრი არა იყო-რა სამეურნეო მწერლობაში მოხსენებული.

ვართანოვის ამერიკული სავაჭრო სახლის შემწეობით მ მივიდა ეს მაშინა 15 თიბათვეს ყუთებში კარგად ჩაწყობილი და უზიანოდ.

თხუთმეტის დღ ს მუშაობით ამ- სამკალმა მაშინამ მომკა საკუთარი ქირნახული ჩვენს მამულში სოფ. ოსიაურს (გორის მაზრა, სურამის უჩასტკა): 30 დესიატინა პური, 5 დეს. ქერი და 5 დეს. შვრია, დაუბრკოლებლივ, უხიფათოდ; მხოლოდ დაწოლილს და დაძქელილს ყანაში კი ძალიან უჭირდებოდა. არც არის ეს შემთხვევა გასაკვირველი, უკეთუ მოვიგონებთ, რომ წაქცეული ყანის მკა ძალიან საძნელოა აგრეთვე ნამგლით გინა ცელით. ამ თხუთმეტი დღის მუშაობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს მაშინა ჩვენთვის გამოსადეგია და ეხლა დარწმუნებით შემიძლიან მოვთვალო მისი შემდეგი ღირსებანი.

1) სიმსუბუქე წონაში (20 ფუთი),

2) სიმარტივე მეხანიზმისა (ისე რომ რაოდენიმე ახსნის შემდეგ გონიერ მუშებს შეუძლიანთ მისი გამართვა),

3) სიარულში მსუბუქად გამყოლი, (ერთ უღელს კარგი საყევრის მოზვერს მსუბუქად დაჰქონდათ ნახევარ დღე),

4) ყოველივე ნაწილის ერთ გვარი, თანხმობითი მოძრაობა,

5) შემცირებული რუევა პლაცფორმისა და ფოცხებისა,

6) ფოცხებს გადააქვთ ხელეური სუფთად და რიგზე, მატარებელის სურვილისამებრ დიდი, გინა პატარა ხელეურად;

7) მატერიალი, ხისა და რკინისა, რომლისაგან მაშინა აშენებულია, რჩეული და

8) მთელი შენობა [illegible] სილაზათეზე დიდი ყურადღებით [illegible]ულია.

ამ ბევრგვარ ღირსებათა შორის, შევამცნიე ერთი ნაკლულევანება, რომლის თავიდამ აცილებას ვცდილობდი მეტი ყურადღებით და გაფთხილებით. უკეთუ ფოცხები ძალიან სწორედ დაყენებული არ არიან, ადვილად ხვდებიან ერთმანეთს და ილეწიან; და მით უფრო მეტად როდესაც ჩვენ უსწორ-მასწორე შემუშავებულ ნიადაგზე მაშინამ უნდა დიდი მანძილი მთელი სხეულის რყევით გაიაროს ხოლმე. ეს ნაკლულევანება, თუ იგი ნაკლულევანებად შეირაცხება, ვგონებ უნდა მოსპობილი იყოს უფრო ახალს ჯონსონის სამკალში „ტრიუმფ", რომელიც ჯერ კიდევ რუსეთში საქმით არ გამოცდილა და ვიცნობთ მხოლოდ მხატვრობით. როგორც ზემოდ ვსთქვი, ეს ნაკლულევანება შეიძლება თავიდამ ავიცილოთ ჯეროვანის ყურადღებით და მოკლედ. რა თქმა უნდა, რომ არამც-თუ მხოლოდ სამეურნეო იარაღი და მაშინები ესაჭიროებიან ყურადღებას, სიფთხილეს და მოვლას, არამედ ყოველივე უფრო მეტი ხელოვნებით აშენებული ნივთი. უამისოდ მათი შეძინება ფუჭია, უსარგებლო.

ეს მაშინა დამიჯდა 305 მანეთი. ლონდონში ღირს 27 სტერლინგი. მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ ვართანოვის სავაჭრო სახლის შემწეობით, რომელსაც ვურჩევთ საერთოდ სამეურნეო მაშინებზე და იარაღებზე ფასს დაუკლოს და მცირედი სარგებლით დაკმაყოფილდეს. შეიძლება გამოწერა აგრეთვე ლონდონიდამ შემდეგი ადრესსით. *The Iohnston Ha-*

---

რადგანაც იმ დროში კაცი საჩივრის გზასაც ვერ გაიგებდა არამც-თუ რომელიმე სამართალი მიეღო. ერთს დღეს, როდესაც ბლახა ბეგარიდგან დაბრუნებულიყო, მოვიდა იმასთან იასაული და ურმის თხოვნა დაუწყო. ბლახამ უარი უთხრა, მაგრამ იასაული არ ეშვებოდა და ამისთვის კარგად სცემა თავის მომბეზრებელს.

ამ დანაშაულობისათვის ბლახა დაიჭირეს და სამი წლით ციხეში ჩასვეს, სადაც ყოველივე სივიწროე, რაც-კი კაცის აზრს შეუძლიან წარმოიდგინოს, გამოიარა. მაგრამ რა სატანჯველი იქნებოდა ისე ძნელი, როგორც სატრფო ცოლთან დაშორება, რომელსაც უნუგეშოდ სტოვებდა, რადგანაც იმისი ძმა ონისე ჯერ პატარა იყო და თავის თავის მოვლასაც ვერ მოახერხებდა, არამც თუ რძალისათვის და სახლისათვის ზრუნვა შესძლებოდა.

რა წამს ბლახა ციხეში ჩასვეს, ბატონი დიამბეგი, ერთი იმ დროს ღმერთთაგანი გლეხებისათვის, მობრძანდა ბლახას სოფელში და გალახული იასაულის შემწეობით, დაუწყო არშიყობა ბლახას ცოლს, რომელიც სავაგლახოდ სადღაც ენახა და თვალში მოსვლოდა. იასაული ბევრს ეცადა, ბევრი ელაპარაკა, მაგრამ ბლახას ცოლი ვერ დააყაბულა ქმრის ღალატს. ბოლოს, რომ ველარა მოახერხა-რა დაუწყო რჩევა, რომ ჩასულიყო დიამბეგთან და ეთხოვა თავის ქმრის გამოხსნა, რომელსაც იმის სიტყვებით ციმბირში ჰკარგამდნენ.

— რო ვთხოვო, დაიხსნის? ბოლოს იკითხა დედაკაცმა.

— ჰაი, ჰაი, რო დაიხსნის!.. ბანა თითონ-კი არ უნდა დახსნა, მაგრამ ხევის დიამბეგია, იმას მხოლოდ თხოვნა უნდა. ოლონდა-კი სთხოვე და ღვთის მადლმა მაშინვე გამოუშვებს.

ქალი, მარტოობაში შეწუხებული ბეგარით და ათასი უსამართლოებით, დაჰყაბულდა იასაულს და წავიდა იმასთან, ვისაც ხალხზედ ზრუნვა და იმათი კეთილდღეობის დაცვა ჩაბარებული ჰქონდა, რომ შეეტყობინა თავისი მწუხარება.

ქალმა ვერ მოასწრო ოთახის კარებთან მისვლა, როდესაც იასაულები უკანიდგან მიეპარნენ, მოიტაცეს და ერთს თვალის დახამხამებაზედ შეიტანეს დიამბეგის ოთახში.

დიამბეგმა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რაღაცა მღელვარებით მოელოდა ქალის მოყვანას, ერთბაშად გაიღიმა, უმგზავსოდ და საზიზღრად გაიზმორა.

— თქვენ წადით, კარგია. დაითხოვა იასაულები, რომელთაც საკმაო სამსახური გაუწიეს.

იასაულები გამოვიდნენ და პირუტყვს დარჩა საცოდავი ქალი, რომელიც მთლათა კანკალებდა შიშისაგან და ვერ გამოერკვია თავისი უბედური მდგომარეობა. დიამბეგი მივიდა, ჩაკეტა კარები და მიუბრუნდა ქალს, რომელსაც მოურიდებლად მოხვია მკლავები და ძალათი დასვა ტახტზედ....

ამის შემდეგ, რა მოხდა იმათ შორის, რა იყო, მაგაზედ ლაპარაკი მომეტებული იქნება, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ იმ ღამეს ბატონი დიამბეგი მოიქცა როგორც უსვინდისო, პირუტყვი, რომლისათვისაც ქალის ნებას და ნამუსს, ნამეტნავად გლეხი კაცისას, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

როდესაც დიამბეგი განსვენებაში იყო, ერთბაშად ფანჯარამ იჭყა, მინებმა მოიღეს პოლზედ წკრიალი და ვიღაცა კაცი გადაფრინდა ოთახში. იმის შევარდნაზედ დიამბეგმა სპიჩკას გაჰკრა, აანთო სანთელი და იცნო ბლახა, რომელიც ანანურის ციხიდგან გამოქცეულიყო. იმას თვალები ალგზნებოდა მეტის ჯავრისა და მწუხარებისაგან.

რა წამს ცოლმა ის დაინახა, გაექანა ქმარს ხვეწნით, რომ ეშველა იმისთვის, მაგრამ, ქმრამდინ ველარ მიაღწია და დეეცა ქმრის ხანჯლით თავ-შუაზედ გაჩეხილი.

დიამბეგიც, რომელიც გულ-გახეთქილი ტახტის ქვეშ დამალვას აპირებდა, გამოათრია ბლახამ, გაუყარა იღლიის ქვეშ ხანჯალი და დასძახა:

— შენ-კი ღორი ხარ და ღორსავით მოგკლამ.

ამ მწარე ღღიდგან ბლახა გადაიკარგა იმ ადგილებიდგან და იმისი უპატრონოდ დარჩენილი ძუძუთა ქალი იზრდებოდა ჯერ გულ-კეთილ მეზობლებისას და მერე ონისესთან. რომელიც დაქორწილდა.

ეხლა რაკი შევიტყეთ ბლახას ვინაობა და მალვის მიზეზი, შეგვიძლიან გავაგრძელოთ ჩვენი მოთხრობა.

ა. მოხწუბარიძე.

(გაგრძელება).

rvester Co, 1 et 2 Chisivell street. London, E. C. აგრეთვე ჯონსონის ქარხნიდამ პირ-და-პირ; Rrockport. N. У. მაგრამ სხვა-და-სხვა სამწუხარო და საეჭვო მიზეზები რომ თავიდამ ავიცილოთ, ისა სჯობია ვეცადოთ, ერთი, ორი თუმანი მეტი მივცეთ და უზრუნველად მთელი მაშინ კარს მოგვადგეს.

ამ სისტემ-ს საათი ერთი ცხენისათვისაც არის; ფასი რასაკვირველი უფრო ნაკლებია, 24 სტერ. აგრეთვე აკეთებენ საათს და სათიბს შეერთებულს ამავე სისტემისას; ეს ღირება ლონდონში 33 სტერ. ვისაც სურს სათიბის გამოწერა, მე ურჩევ გამოიწეროს მაკ კორმიკის სათიბი. ოდესაში მას აქვს თავისი სკლადი. **Макъ Кормикъ. Главная контора и складъ, Екатерининская площ., домъ Задуровича.** ღირს ოდესაში 220 მანეთი.

სვიმონ გუზიროვი.

3 იანვარი 1882 წელს.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პატივი მაქვს გამოუცხადო ყოველთა მოგზაურებსა, რომ იანვრიდამ უბილეთოდ მოსვლა თფილისში აკრძალულია; ვისაც არ ექნება ბილეთი, დაისჯება; ამისათვის ვთხოვ ყველას ჩემს მოგზაურებს, იქონიონ ყოველთვის ბილეთი.

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ Გ. Ი. ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ.

(5—4)

### ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

პირუტყვთ მფარველი საზოგადოებისა რიყეზედ, გვრიტიშვილის სახლში.

ავათმყოფი პირუტყვი საქონელი მიიღება დილის 8 იდამ ვიდრე 11 საათამდე, გარდა კვირა უქმებისა და ტაბელის დღებისა,

ი. მურადოვის

### ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

## ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—40)

1882. **ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА** 1882.

на литературно-художественный журналъ

# МОСКВА

**Роскошное иллюстрированное еженедѣльное изданіе.**

Картины и текстъ журнала будутъ печататься въ форматѣ БОЛЬШИХЪ заграничныхъ иллюстрацій на РОСКОШНОЙ, исключительно для изданія заказанной бумагѣ. Для печатанія картинъ и рисунковъ журнала пріобрѣтены изъ Лейпцига двѣ скоропечатныя машины новѣйшей конструкціи.

Въ художественномъ отдѣлѣ журнала постоянными сотрудниками будутъ: профессоръ живописи В. В. Пукиревъ, академики: А. К. Саврасовъ, К. А. Трутовскій, С. И. Грибковъ; классные художники: Н. А. Богатовъ, К. В. Лебедевъ. Н. С. Матвѣевъ и художники: Турлыгинъ, Клангъ, Святославскій, Левитанъ, Россовъ, Самойловъ, Рябушкинъ и многіе другіе.

Въ 1882 году будетъ помѣщено болѣе двухъ сотъ картинъ, исполненныхъ цвѣтными тонами, карандашемъ и другими способами; двѣнадцать роскошныхъ премій (величина двойной форматъ журнала), сюжеты которыхъ будутъ изображать исключительно русскую жизнь, какъ изъ быта современнаго общества, такъ и изъ исторической жизни русскаго народа.

Для 12-ти премій, редакціею пріобрѣтены уже картины слѣдующаго содержанія:

1) Святки въ деревнѣ; 2) Въ походъ, рисунокъ изъ временъ XVI столѣтія; 3) Сборы невѣсты къ вѣнцу; 4) Послѣ пляски Иродіады; 5) Подъ сѣнью ивъ (акварель); 6) Проводы молодыхъ въ опочивальню, рисунокъ изъ временъ XVII столѣтія и другіе

Для рисунковъ цвѣтными тонами пріобрѣтены слѣдующіе сюжеты:

«Тятенька загулялъ», Маленькая нянька, Кухня на толкучкѣ, Свиданіе, Русалки Москвы-рѣки, Голодный, Пѣстунья, Смертъ коня Мазепы, Лямка, «Разъ въ крещенскій вечерокъ», Съ купаня, Подъ черемухой, Съ пашни, Безъ хлѣба и денегъ Деревенская колудня, У станціи, Одинъ изъ потомковъ Батыя, На службу, Маленькіе птицеловы, Докладъ, Во ржи, Въ вагонѣ конной дороги Господа уѣхали, Сдача рекрутовъ, Выборъ царской невѣсты, Отжившіе, Моціонъ Крестины, Дуэтъ, Нищіе въ селѣ, Елена у мельника (Князь-Серебряный), Приданое, На поединокъ, Максимъ и Князь Серебряный и многіе другіе

Кромѣ вышеупомянутаго, въ теченіе года будутъ помыщены иллюстраціи къ разсказамъ, портретовъ выдающихся дѣятелей и современныхъ знаменитостей, виньетокъ и проч. и проч.

Журналъ «Москва» имѣетъ самую широкрю, утвержденную правительствомъ программу.

Въ настоящемъ году, въ литературномъ отдѣлѣ его, кромѣ хроники общественной жизни, литературнаго обозрѣнія и театральнаго фельетона, будутъ напечатаны: два вполнѣ законченныхъ иллюстрированныхъ романа изъ наиболѣе интересныхъ произведеній извѣстныхъ современныхъ писателей (иллюстрированіе романовъ рисунками въ краскахъ приняли на себя художники: Боготовъ, Лебедевъ, Святославскій и Россовъ). Печатаніе одного изъ нихъ начнется съ первыхъ же №№ журнала.

Въ отдѣлѣ для легкаго чтенія будетъ помѣщено множество повѣстей, разсказовъ, бытовыхъ сценъ, очерковъ, стихотвореній, поэмъ и т. п.

Отдѣлъ смѣси будетъ заключать въ себѣ: анекдоты, остроты, новѣйшія открытія и изобрѣтенія, новости модъ, полезные совѣты, случаи изъ жизни знаменитыхъ людей, объясненія къ картинкамъ и пр. и пр.

На оберткѣ журнала постоянно будутъ печататься послѣднія извѣстія о наиболѣе важныхъ событіяхъ изъ міра политическаго и общественной жизни, телеграммы и пр. Каждому наиболѣе выдающемуся событію, какъ напр. предстоящее въ 1882 году освященіе въ Москвѣ Храма Христа Спасителя и открытіе художественно-промышленной выставки, будетъ отведено значительное мѣсто на страницахъ нашего журнала, при чемъ текстъ будетъ сопровождаться иллюстраціями, исполненіе которыхъ приняли на себя художники: Боготовъ, Турлыгинъ, Рябушкинъ, и художникъ-фотографъ М. М. Самойловъ.

Для литературнаго отдѣла журнала редакціи обѣщали свое сотрудничество: М. И. Альбовъ, К. С. Беренцевичъ, А. С. Кругловъ, Д. Д. Минаевъ, А. Н. Молчановъ, В. И. Немировъ-Данченко, Л. И. Пальминъ (Марало Іерихонскій, Трефовый король), И. А. Вашковъ, Е. М. Гаршинъ, Ф. В. Черниговцевъ (псевдонимъ), И. Н. Измайловъ (Баронъ Иксъ), К. Львовъ (псевдонимъ), М. М. Михайловичъ (псевдонимъ), Н. А. Хлоповъ, Н. А. Чмыревъ и многіе другіе.

Годовые подписчики на журналъ «Москва» получатъ кромѣ 12-ти премій еще одну большую, исполненную масляными красками картину: **«БУРЛАКИ НА ВОЛГѢ».**

Въ концѣ года всѣ гг. подписчики получатъ большой роскошный стѣнной календарь.

Журналъ «Москва» будетъ выходить подъ редакціей Е. С. Сталинскаго и при ближайшемъ участіи Л. И. Пальмина.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| | |
|---|---|
| На годъ съ доставкой и пересылкой . 8 руб. | На годъ безъ доставки и пересылки . 7 руб. |
| На полгода „ „ . . 7 „ | На полгода „ „ . . . 4 „ |

Подписка принимается въ конторѣ редакціи журнала «МОСКВА» (Пречистенскій бульваръ, домъ Грачева) и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ и картинныхъ магазинахъ г. Москвы. Гг. иногородные благоволятъ обращаться исключительно въ контору редакціи: Пречистенскій бульваръ, д. Грачева.

(3—1)

## ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

25% ნაკლებ ფასად სხვა ადგილებზე ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლეები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორი (choke bore) Ceorge Dau-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—62)

## ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

(40—19)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Января 1882 г. Типографія С. Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.